საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

№ 243 ოთხშაბათი, 29 მაისი 1918 წ. № 243

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელს გამოუცხადა, უკანასკნელად წარმოდგენილი ულტიმატუმი სავალდებულოა საქართველოსთვისო.—აკ. ჩხენკელმა ულტიმატუმი არ მიიღო—საქართველოს აქ დელეგაცია არ ჰყოლიაო—და ტფილისისაკენ გამოეგზავრა.—ხმებია ადერბეიჯანის მთავრობა შესდგაო.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 60 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნაკადული") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირებს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და ჩვეულებრივი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი № 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

11 ქართული მსროლელი პოლკი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 22 მაისს მოკლულ იქმნა აწყურის ბრძოლაში გმირი ტყვიის-მფრქვეველთა რაზმის უმფროსი,

ალექსანდრე (საშა) რობაქიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში. 558

ელენე ლევანის ასული, გურგენიძისა თავის შვილებით, სიძით და რძლით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 მაისს გარდაიცვალა სოფ. სხლითში ქუთ. გუბ.

გენერალ მაიორი ივანე პაატის ძე გურგენიძე

დაკრძალვა იქნება ხუთშაბათს 30 მაისს სოფ. სხლითში. 559

შვილები: ვასილი და ალექსანდრე ზაალის ძენი, რძლები: სოფიო ნიკოლოზის ასული და ნინო მალაქიას ასული, შვილი-შვილები: მარო და ნიკო წერეთლები და ეფემია ვასილის ასული კვიციანიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ზაალ ზურაბის ძის წერეთლის

გარდაცვალებას, პანაშვიდი გარდახდილი იქნება 29 მაისს 6 ნახ. საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში დიდი მთავრის ქ. წირვა და გამოსვენება იმავე ეკლესიიდან 30 მაისს კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. წირვა დაიწყება 9 ნახ. საათზე დილით. 560

შვილები: გრიგოლ, ნესტორ და მარიამ ლუკას ძენი, შვილის-შვილები: მიშა, ლენკო და ვანო ნესტორის ძენი შავდიები, რძალი სალომე შავდიისა, ძმა კონსტანტინე ადამიას ძე შვილებით: ვლადიმერ, აკაკი, ვარდენ, დომენტი, მუჩუა, აგრაფინა და პარასკევა ადამიები, რძალი ვერა ადამიასი, მაზლის შვილი კესარია ვაქტას ასული შავლიაჩახავასი, ნათლული ევგენი გუგუშვილი მეუღლე მისი აგრაფინა ამალობელი—გუგუშვილისა ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

ქრისტინე ადამიკას ასულის ადამია-შავდიასას

ცხედრის გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან (დიდუბე, ფოთის ქუჩა № 6) დღით ოთხშაბათს 29 მაისს, დასაფლავება წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 554

სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა გიმნაზია მასწავლებელთა კოლეგიისა

მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 ივნისს II, III განყოფილებაში, I, II, III, IV, V და VI კლასებში თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილ. 10 ს. 3 საათ.

ალექსეევის ქუჩა № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 553

ბათომის პარტიზანულ პოლკისთვის

საჩქაროდ საჭიროა გამოცდილი და მცოდნე საქმის მწარმოებელი პოლკის სამეურნეო ნაწილისა, ეროვნების განურჩევლად. ჯამაგირი 400 მ. თვეში, ბინა და საზრდო. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 1, სოც.-ფედერალისტთა პარტიის კლუბი, აკაკი ტუსკიას. 1178

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღთ., საკუთ. ახალი შენობა. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, 29 მაისს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

სახელად „ნონ პლიუს ულტრა", მონაწილეობენ პეტერსონი, ესმერალდო, იამოდასონი და ყველა საუკეთესო არტისტი. ანონსი: ამ დღეებში გაიმართება პ. ეღიაზაროვის ბენეფისი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს., დასასრული 11 ს. 552

ქართული კლუბი

ხუთშაბათს 30 მაისს (ახალი სტილ.) 1918 წ.

ქართული ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა

არშინ მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეგოვისა. თარ. ვ. გიგოშვილისა.

ასკერას როლს შეასრულებს მ. ჯანიევი. სულთან ბეგი, ი. რევაზოვი, სულეიმანი კ. ჩაგუნავა, ველი ნ. მირველოვი, გულჩორა მ. გიგოშვილისა, ასია ვ. მარგველაშვილი, ხალა ო. ფეიქარიძე, თელი ა. არჯევანიძე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კასაში.

555 გამგე ვანო გიგოშვილი.

პურის ბარათები

28 მაისიდან ყველა უბნის [illegible] ბიუროში გაიცემა პურის ბარათები ივნისისათვის. ბარათები მხოლოდ სახლის ორგანიზაციებს მიეცემა. მათ უნდა წარადგინონ მე-3 სერიის (აპრილის, მაისის, ივნისის) სასურსათო ბარათები და სარეგისტრაციო წიგნი. ბარათის ფასი 5 [illegible]

საბარათო განყოფილება. 1178

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

„ამირანი"

იყიდება ამხანაგების მოურიგებლობის გამო. მიმართვა შეიძლება თვითონ რესტორანში, პუშკინის ქუჩა, ქართულ სემინარიის შენობაში. 550

ტფილისი. 29 მაისი 1918 წ.

ოსმალეთის მუქარა.

ოსმალეთის ულტიმატუმი მუქარაა. როგორც ირკვევა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მას მხოლოდ იმიტომ უნდოდა, რომ საბაბი მისცემოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება დაერღვია. ოსმალეთი ამიერკავკასიაში შემოიჭრა და რაკი აღმოსავლეთ ნაწილში ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ დაინახა, ულტიმატუმი ულტიმატუმზე წარუდგინა ამიერკავკასიას. ამიერკავკასიის სეიმმა თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა და, მაშასადამე, ის ნაწილი, რომელიც საქართველოს გარეშეა, ფაქტიურად უპატრონოდ არის დარჩენილი, საერთაშორისო თვალსაზრისით კი იგი ეკუთვნის რუსეთს. ამიტომ ამიერკავკასიის დარღვევის შემდეგ ოსმალეთს საქმე ექნება რუსეთთან, რომელთანაც მას უკვე აქვს დადებული ბრესტის ხელ შეკრულობა.

ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის მოკავშირე გერმანია ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულობის ნიადაგზე სდგას და, მაშასადამე, ახალი ომის დაწყება სახელმწიფოსთან, რომელთანაც ყოველივე ანგარიშები გასწორა, ხელსაყრელი არ არის.

მაგრამ სულ სხვანაირად იქცევა ოსმალეთი. იგი ცდილობს თავისი ტერიტორიალური ზარალი ამიერკავკასიაში აინაზღაუროს და ამისთვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულობასა და რუსეთთან ახალ საომარ მიზეზის გაჩენასაც არ ერიდება.

ოსმალეთმა თავისი მიზნების განსახორციელებლად არამც თუ ჩამოაჭრა დიდი ნაწილი ტერიტორიისა ამიერკავკასიას, მოისურვა რკინის გზის ხელში ჩაგდებაც ამიერკავკასიის დარღვევის შემდეგ ოსმალეთი საქართველოსაც ისეთისავე კილოთი დაუწყებს ლაპარაკს, რანაირადაც ამიერკავკასიას ელაპარაკებოდა.

ოსმალეთს აქაც ერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: საქართველოს მთავრობისაგან მიიღოს დასტური ქვეყნის ფაქტიური ოკუპაციისა. რა თქმა უნდა საქართველოს მთავრობას ვერ შეუძლიან ასეთი დასტური მისცეს ოსმალეთს.

საქართველომ თავისი თავი დამოუკიდებელ ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. დამუქრება იმ დროს, როდესაც ოსმალეთის მიერ არც ჩვენი დამოუკიდებლობაა მიჩნეული და არც საზავო მოლაპარაკება სწარმოებს ისე, რომ სჩანდეს ოსმალეთის კეთილი სურვილი მშვიდობიანობის ჩამოგდებისა,—ამისთანა პირობებში დამუქრება ოსმალეთის მხრით მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ მას ჰსურს საქართველო თავის ზრახვათა განსახორციელებელ საშუალებად გამოიყენოს.

ეს ჩვენი სუვერენული უფლებების შელახვა, ჩვენი ნეიტრალიტეტის დარღვევის სურვილია და ამნაირ სურვილზე, რასაკვირველია, საქართველოს მთავრობა ვერ დასთანხმდება.

ერთხელ კიდევ გამოჩნდა ოსმალეთის იმპერიალისტური მადა და ერთხელ კიდევ ცხადი გაჰხდა ყველასთვის, რომ მხოლოდ ძლიერი ჯარის შექმნით შეგვიძლიან ჩვენი თავისუფალი სამშობლო დავიცვათ.

თავისუფლების დაცვა

საქართველოს ცხოვრების ახალი ხანი დაიწყო. ჩვენ, რომელნიც ძლიერ შევეჩვიეთ ბედის ცვალებადობას, მოვიღალეთ კიდევაც მისი უკუღმართობით თითქოს აღარაფერი გვახარებდა. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა დაამტკიცა, რომ კიდევ ყოფილა ჩვენში ენტუზიაზმი, გაჩნდა ისეთი სტიმული, რასაც შეუძლიან აამოძრაოს თუ მთელი დაძაბუნებული ერი არა, მისი მცირედი ნაწილი მაინც. ვინც ნახა 26 მაისს სასახლის წინ მოგროვილი ზღვა ხალხი, ვინც განიცადა მისი აღფრთოვანება და სიხარული—იგი უეჭველია იმედ მოცემული დაბრუნდებოდა სახლში. არის კიდევ თოფის წამალი საწყობებში, არის!..

და ეს ახალი გარემოება გვავალებს ფხიზელს და ენერგიულ მოქმედებას. ჩვენთვის უკვე აშკარაა, რომ ოსმალეთი მთელი საქართველოს დაპყრობას ჰლამობს. მან უკვე წარმოგვიდგინა, როგორც ახალ სახელმწიფოს, მოთხოვნილება — დავუთმოთ: ახალციხის, ახალქალაქის მაზრები და ჩვენი რკინის გზის შტოები. მაშასადამე ერთად-ერთი გზა დაგვრჩენია: ბრძოლა, ბრძოლა უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ზოგიერთს გულუბრყვილოს ჰგონია, თითქოს თუ ჩვენ დავსთმეთ—გადავრჩებით. მაგრამ უეჭველია ეს დიდი შეცდომაა. ჩვენ რომ ეს დავთმოთ—ეს იქნება მტრის პოლიტიკური და სტრატეგიული გამარჯვება, ვინაიდან ოსმალეთი არ შეჩერდება და მთელ ჩვენს ქვეყანას დაეპატრონება. შეიძლებოდა ლაპარაკი დათმობისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ოსმალეთის ვერაგობა და განზრახვები რომ არ ვიცოდეთ. მაგრამ მისი განზრახვა აშკარაა და ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა დავიცვათ ნორჩი რესპუბლიკა. სულ ერთია, ჩვენ დათმობით ვერაფერს შევსცვლით, ხოლო თუ კი ცოტაოდენი წინააღმდეგობა და მტრის შეჩერება შევსძელით ეს იქნება უდიდესი საქმე. უცხო სახელმწიფოებს და განსაკუთრებით გერმანიას პირდაპირი ფორმალური უფლება ექნება ჩაერიოს საქმეში და ჩვენს უფლებას გამოესარჩლოს. ვინაიდან კარგად ვიცით, რომ მისი ინტერესები არ მოითხოვს მთელი ამიერკავკასია გამოუკლებლივ ოსმალეთს ხელში ჩაუვარდეს.

ჩვენ უეჭველად უნდა დავიცვათ რესპუბლიკის ტერიტორია, რადგან დარწმუნებულნი არა ვართ რომ ოსმალეთი ნათხოვნით დაკმაყოფილდება, ხოლო ჩვენ კი საუკეთესო პოზიციებს უბრძოლველად დავტოვებთ.

საჭიროა იმ პანიკის გაფანტვა, ახლა რომ ყველას გადასდებია. ყველას ჰგონია, რომ ოსმალეთს დიდი და კარგი ჯარი ჰყავს. თითქოს ღმერთები მოდიოდნენ და არა ფეხშიშველა დაღლილი, ბანდა. ჩვენი ასეულები მათს ათასეულებს ამარცხებენ, თუ კი ბრძოლა გამართეს. საჭიროა ეს შევიგნოთ, გავიგოთ, რომ თუ მოვინდომებთ და სულ ცოტა ჯარი შევქმენით—უეჭველად იქნება ჩვენს ისტორიაში მეორე ნატანები. მაშინ მალე მოდრკება მტერი და სხვა ენით დაგვიწყებს ლაპარაკს. სულ ცოტა ცდა და უბრალო ენერგიის გამოჩენაა საჭირო, რომ გადავრჩეთ და თუ სულ თავისუფალი, ნახევრად დამოუკიდებელი მაინც ვიყოთ. მაშ ისევ იარაღი, ამხანაგებო, ისევ ბრძოლა. სხვა გზა არაა და ჩვენც მას უნდა დავადგეთ. ჩვენ უნდა შევქმნათ ჯარი, თუ არ გვინდა სიკვდილი სამარცხვინო, ცეცხლით და მახვილით და არა რეზოლიუციებით უნდა დავამყაროთ დისციპლინა. ვინც ეხლა ჯარში არაა, ის მოღალატეა, ის დამღუპველია საერთო საქმისა. ჩვენ, მარტონი დავრჩით, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს. იცოდეთ, ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლი ამაოდ არ ჩაივლის და მასზე ამოვა ჩვენი თავისუფლების, ჩვენი სიცოცხლის ყვავილი. მაშ შევქმნათ ამხანაგებო ახალი რაზმები, შევადგინოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი რაზმები. ცოტა ხანს კიდევ ავამოძრაოთ მაინც ჩვენი ენერგია, სასოწარკვეთილებას ნუ მივეცემით და ლაჩრულად ნუ დავსთმობთ სიცოცხლეს. გახსოვდეთ სამშობლო, რევოლუციის მონაპოვარი და თავისუფლება. დღეს ყველა ეს მოითხოვს ყოველ დღიურობას დროებით თავი ვანებოთ. და ავასრულოთ მოვალეობა, დავირაზმოთ, ხალხიც დავაინტერესოთ და აუხსნათ მდგომარეობა, რათა მომავალმა თაობამ წყევლა-კრულვით არ მოგვიხსენიოს და არა სთქვას. აი, ამათ შეინახეს თავისი უვარგისი სიცოცხლე და პირადი ინტერესებისთვის ზრუნავდნენ, ხოლო ხელი აიღეს თავისუფლებაზე და საუკუნო მონობის უღელი დაიდგეს არა მარტო თავის კისერს, არამედ ჩვენსაზედაცაო.

ქ. რაჭ—ლი.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ასე ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას:

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალდატანებით წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ იგი დავიცვათ. ამა თუ იმ ერის თავისუფლად გამოცხადება სოციალისტურ შეხედულებას იდნავადაც არ ეწინააღმდეგება, პირიქით, იგი ჩვენს პროგრამაში აღნიშნულია დროს და გარემოების მიხედვით ერთი თვით-გამორკვევის ფაქტიურად განხორციელებას. თვით საერთაშორისო დემოკრატია ასეთ დამოუკიდებლობას მუდამ და ყოველთვის მხარს უჭერდა. მეცხრამეტე საუკუნეს განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა ინტერნაციონალური კლასი—პროლეტარიატი—დაჩაგრულ და წვრილ ერის თავისუფლებას არ გამოქომაგებოდეს.

ჯერ ისევ ძველი ინტერნაციონალი დარაჯად ედგა წვრილ ერების ბედს და გარეშე მტრების საქციელს საქვეყნოთ კიცხავდა. მარქს-ენგელსი პოლონეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ და რუსეთის ბარბაროსულ მთავრობიდან განთავისუფლებას აღიარებდნენ.

მაშ, რაღა უნდა ითქვას დღეს საქართველოს პატარა ერზე, როცა მას ყოველ მხრივ აზიის დესპოტი მოაწვა და მის დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობას უდიდესი საფრთხე მოელის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთგვარი ოაზისია, ერთი კუთხეთაგანია, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიისათვის თავშესაფარი გახდება და მის არსებობაში ყველა ერის ჭეშმარიტი დემოკრატია გულწრფელად დაინტერესებულია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი შენარჩუნება საერთაშორისო დემოკრატიას არავითარ ზიანს არ მოუტანს, პირიქით, იგი ინტერნაციონალური პროლეტარიატს გაამაგრებს.

მთავრობის ცნობა

ბათომიდან ა. ი. ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობაზე მიღებული იქმნა ოსმალეთის ულტიმატუმის წარმოდგენის შემდეგ.

27 მაისს ჩხენკელი იყო ხალილ ბეისთან და პირადად გადასცა მას ოფიციალური ნოტა ამ დამოუკიდებლობისა და სეიმის და ამიერკავკასიის მთავრობის დაშლის შესახებ, ულტიმატუმის საგანზე მოლაპარაკება არ ყოფილა. ა. ი. ჩხენკელი წამოვიდა ტფილისში ახალ დირექტივების

ღებად, რაზედაც აცნობა ხალილ ბეის. რაც შეეხება ულტიმატუმის ვადას, ხალილ ბეიმ გამოაცხადა, მიუხედავად ა. ი. ჩხენკელის პროტესტისა, რომ იგი ეხლა სავალდებულოა ეროვნულ მთავრობების, აგრეთვე საქართველოს მთავრობისთვისაც. დადგენილია, რომ ულტიმატუმის ვადა დაიწყება არა იმ დროიდან, როცა ა. ი. ჩხენკელმა მიიღო, არამედ იმ დროიდან როდესაც საქართველოს მთავრობამ მიიღო ე. ი. 27 მაისის საღამოს 8 საათიდან ა. ი. ჩხენკელმა პროტესტი გამოაცხადა, რომ საქართველოს მთავრობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ულტიმატუმს, რადგანაც საქართველოს მთავრობა, როგორც ასეთი არ აწარმოებდა ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას. ა. ი. ჩხენკელის წასვლამ არა სასიამოვნოთ იმოქმედა, ოსმალეთის დელეგაციაზე, მაგრამ ოსმალეთის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ საქართველოს სამშვიდობო დელეგაცია ახალი დავალებებით დაბრუნდება ბათომში.

ოტომანის მთავრობა მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან ორი მაზრის დათმობას მთლიანად ახალქალაქის და ახალციხისას საქართველოს მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს იმისთვის, რომ დავა ტერიტორიის საზღვრების შესახებ გადაწყდეს იარაღის საშუალებით. საქართველოს მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ოსმალებთან ომი არ არის მთლად გათავებული და საჭირო მცხოვრებლებმა სიდინჯე დაიცვან და მზად იყვნენ მთავრობის დავალება შეასრულონ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო

ტფილისი. 24 მაისი, „ანდონხანი"

ქალაქის გამგეობამ მოისმინა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„ქალაქის გამგეობა მიესალმება საქართველოს რესპუბლიკას. საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული საბჭო აცხადებს, რომ ის მზად არის მხარი დაუჭიროს ახლად შედგენილ მთავრობის ყოველ ნაბიჯს, რომელიც დემოკრატიის იდეალების განსახორციელებლად იქნება გადადგმული, და მოუწოდებს მცხოვრებლებს მჭიდროდ შეკავშირდნენ თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად".

ოსმალეთის ულტიმატუმის გარშემო

ტფილისი, 28 მაისი, „ანდონხანი"

ქალაქის საბჭომ მოისმინა მთავრობის მოხსენება (27 მაისის) ოსმალეთის საზავო დელეგაციის მოთხოვნების შესახებ—ოსმალეთს უნდა შეურიგდეს ერევნის გუბერნიის ნაწილი, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები და ოსმალეთის ჯარი გაატარეთ ამიერკავკასიის რკინის გზით ბრძოლის მეორე ასპარეზზეო — და დაადგინა: საბჭო სურვილს გამოსთქვამს, რომ ოსმალეთის მოთხოვნილებათა, საკითხის გადასაჭრელად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავს იდვას და მოიწვიოს ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები და რომ ამიერკავკასიის რკ. გზით ჯარის გატარების საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს ტფილისის საქალაქო თვითმართველობამ.

რადიო-დეპეშები

რუსეთის წარმომადგენელს იოფფეს ბერლინში ჩვენ დღეს გამოვგზავნეთ შემდეგი ნოტა: რუსის მთავრობას ცნობები მოუვიდა, რომ გერმანელების ჯარი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ხშირად გადმოლახავს ხოლმე სადემარკაციო ხაზს და რუსის ჯარს თავს ესხმიან. ასეთი შეტაკებები მოხდა სოფ. ბოგდანოვსა და ნიკოლასთან, კრასნოეს გორაკიდან 13 ვერსით სამხრეთს. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს იმედი აქვს, რომ გერმანელი ჯარი ზომებს მიიღებს ამგვარ არასასურველ ინციდენტების მოსასპობად. 22ჵ.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

საქართველოს დღესასწაული

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დიდი ქარტეხილის დროს დაიბადა. როდესაც მთელი ქვეყნის იმპერიალისტთა სისხლიანი ღრიანცელი ჩვენი სამშობლოს ყურეშიც შემოიჭრა, როდესაც მთელი ქვეყნის იმპერიალისტთა სისხლიანი ღრიანცელი ჩვენი სამშობლოს ყურეშიც შემოიჭრა, როდესაც იქ, ბრძოლის ველზე საქართველოს რჩეული ახალგაზრდობა სამშობლოს კეთილდღეობის წმიდა საკურთხეველზე უმანკო მსხვერპლად იწირება, და მუდამ თავისუფლებაზე მეოცნებე საქართველოს თავზე საბედისწერო ხმალი გადმოელვარებულა, სწორედ ამ ბედითი ჟამს აღსდგა ერი, და რიხიანად აცნო მთელ კაცობრიობას, რომ იგი არ მომკვდარა, და სურს სხვა ერებთან თანასწორად თავისუფალი სიცოცხლე და შემოქმედება. ეს დიდი აქტი ქართველი ერის უნარიანობის ცნაურებაა. ეს დიდი დღე ქართველი ერის სულიერი გამარჯვების პარაკლისია, და სხვაგან გაიხარებდა მზიური სიხარულით თუ არა ის ნაწილი ქართველი ერის, რომელიც დიდი ხანია შეჰფოფინავს საქართველოს განთავისუფლების აზრს და ეროვნული დროშის ქვეშ დარაზმული მიიმართება მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხთან ერთად—ქვეყნისავე დასაპყრობად, სოციალიზმის გასამარჯვებლად. და ამ სიხარულის ცნაურება იყო ის ხალისიანი მანიფესტაცია, რომელიც მოახდინა კვირა საღამოს, საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის მებრძოლ რაზმმა. როდესაც სასახლის წინ მრავლად თავ-მოყრილი ხალხის მიტინგი დაიშალა, ჩვენი რაზმი რუსთველის ქუჩით გაემართა ქალაქის სხვა ქუჩებისკენ, რომ სიმღერით და ყიჟინით ემცნოთ ყველასთვის, რომ აღსდგა საქართველო, საქართველო თავისუფალი და განახლებული, ზვიადად გაისმოდა ქართული ლაშქრული „ქართველო ხელი ხმალს იკარო", და სიტყვებს „დღეგათენდა დიდებისაო", ჰფარავდა ხალხის ერთსულოვანი „საქართველოს გაუმარჯოს" ხოლო სიტყვები: „თოფ-იარაღი აისხი დრო მოდის გამარჯვებისაო" ყველას ფიქრს გადაფრენდა საქართველოს საზღვრებისაკენ. სადაც ჩვენი სახელოვანი ამხანაგები თავდადებით სისხლით რწყავენ სამშობლოს ყვავილოვან მთაველებს, და ცეცხლით ხვდებიან მახვილ მომარჯვებულ შეუპოვარ და თავხედ მტერს. რაზმი უკან გამოემართა რუსთველის ქუჩით და შეჩერდა სახელმწიფო თეატრის წინ, სადაც შემოს ძახეს ქართული გმირული ჰიმნი. აუარებელი ხალხი ტალღასებრ გადმოეშვა ჩვენი რაზმისკენ და შედედდა ერთ დიდ მასსად. თავ მოყრილ ხალხს სიტყვით მიმართა ამხ. ვ. კოტეტიშვილმა, და ეროვნული ზეიმის დროს მოაგონა სმენად გადაქცეულ ხალხს კრწანისის ველი, სადაც უკანასკნელად ამოიგმინა გულ-დაკოდილმა საქართველომ, და დაჰკარგა თავისუფლება. მოაგონა რომ ის კრწანისის ველი დღესაც გმირებს მოითხოვს, რომ ქართულ სისხლში ჩაახრჩონ ჩვენი ეროვნული თავისუფლების მტრები. და შეკითხვაზე: ჰფიცავთ, რომ სისხლით დაიცავთ დღეს აღდგენილ საქართველოს, ერთსულოვნად იგრიალა ხალხმა: ვფიცავთო. ნეტავ აბდეს. შემდეგ მანიფესტაცია გაემართა სასახლისკენ. გზა და გზა ხალხი აღტაცებით ხვდებოდა და ჩვენ რაზმს ულოცავდა: „საქართველოს ლაშქარს გაუმარჯოს". მანიფესტაცია მოვიდა სასახლესთან. შედედდა აუარებელი ხალხი. აქ სიტყვით მიმართა ამხ. ქაიხოსრო ქავთარაძემ, მუშათა კავშირის სახელით ამხ. ვახ. კოტეტიშვილმა. უკანასკნელი ორატორი ხალხმა ხელში აიტაცა. აღფრთოვანება დიდი იყო.

სასახლის მოედნიდან მანიფესტაცია გაემართა ერევნის მოედნისკენ, რომლის შესახებაც მიტინგზე გამოითქვა სურვილი დაერქვას სახელად თავისუფლების მოედანი, აქედან მებრძოლი რაზმი პარტიის წევრთა თანხლებით გაემართა პარტიულ კლუბისკენ. პარტიის კლუბში გაიმართა საუბარი, თუ რას გვავალებს დღევანდელი დღე, როგორი საქმიანობა გვმართებს და სხვ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნას, და კრება დაიშალა.

ასე იდღესასწაულა ჩვენმა პარტიამ საქართველოს აღდგომის დღე.

აჰ განუსვენე!

თავისუფალი საქართველო!

მწყურის ავიდე მწვერვალზედ იალბუზისა და იქიდან ვასმინო გარემოს მთელისა ხმა ჩემის სიხარულისა.

მინდა ვქუხდე, მინდა ვგვრგვინავდე სივრცის მორევში, რომ ვაგრძობინო ყოველსა მსმენელს სასწაულთა სასწაული—მკვდრეთით აღდგენა.

ელვის ნაწნავად მსურს გავსტყორცნო ჩემ გულის ძგერა, რომ დავანახვო ყოველ მხილველს უდიდეს ნატვრის ძლევა და ხორც-სხმა.

აღვმართოთ მთებზედ დროშა ქართლისა!

დავრეკოთ ზარნი ცათა სასმენად!

გაზაფხულის საზეიმოდ გაშლილ მკერდზედ აღვანთოთ კოცონი ნეტარებისა!

მთიდან მოწყვეტილ ამაყ არწივებს დავაბაროთ შორიდან შორად დღესასწაული ქართველი ერის!

ვერცხლად დავადნოთ მზის სხივები! სიტყვებად დავადნოთ იგი ვერცხლი და ვსთხზათ დიადი საგალობელი საქართველოს ახლად შობვისა!

დაბნელდეს მთვარე! ჩაჰქრენ ვარსკვლავნი! მზემ აიფაროს შავი პირბადე! სინათლის მომფენ სხივად გვეყოფა ბედნიერების ჰიაკოკონაც!

რწმენის უფსკრულში დამარხული ნატვრა, გლოვის ჰიმნად ქცეული ნატვრა, წამების ჯვარზედ გაკრული ნატვრა დღეს ხორც-შესხმულა და წინ მიდგია თვალთა მჭრელ ქანდაკებად, ღვთაებრივ ქანდაკებად...

თვალთ არ ვუჯერებ ამ სინამდვილეს, აზრი ვერ სწვდება მის სიხეულეს, მაგრამ გულში ვგრძნობ სიხარულის ჰიაკოკონას და ბაგენი ჩემნი უწმინდეს ლოცვად, იმეორებენ მხოლოდ ორ სიტყვას:

— „თავისუფალი საქართველო!"

დასწყევლოს ჯაჭვი ამირანმა! შეირყენ საფლავად ერეკლე და მოურავი და მათ გვერდით განსვენებულ მამაპაპათა ძვალნი! აბრწყინდნენ გვირგვინის ტოტნი თამარის თავზედ. შეაჩერონ დროს სიმძიმის ქვეშ რღვევა და ნგრევა ას-წლოვან ტაძრებმა, ციხე-კოშკებმა, რადგან აღსრულდა დიადი საიდუმლოება.

— აღსდგა კვლავად საქართველო!

მოვიდრიკოთ მუხლი ლოცვად და ვედრებად! აღვსდგეთ ბრძოლად! შემოვკრბეთ შრომად, შემოქმედებად! დავსცეთ ჟიჟინა სიცოცხლისა, სიხარულისა და წინ გავშალოთ ერთი დროშა, მაღალი დროშა:

— „გაუმარჯოს საქართველოს!"

ჩემი ნატვრა
ჩემი სამშობლო
საქართველო
ქართული ენა
აღსრულდა, აღსდგა!...

და ბაგეთა ჩემთა სწყდება სასმენად ღვთისა:

— „აჰ განუსვენე!"

ლევ. მეტრეველი.

თავისუფლებას დაცვა სჭირია!

დიდის აღფრთოვანებით იქმნა გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა. სასახლის წინ მოგროვილი აუარებელი ხალხი ერთმანეთს ულოცავდა თავისუფლებას, მკვდრეთით აღდგომას, ფიცს—ფიცი სდევდა, სიხარულს—სიხარული. დიადს და გულის გამხარებელ სურათს წარმოადგენდა—კვირის სანახაობა.

დიდმნიშვნელოვანია თვით ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და თან ერთად-ერთი გზა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებით სიხარული და ბედნიერება გვიწერია წინ, რომ თვით ფაქტი საქართველოს თავისუფლების მოგვანიჭებს დამოუკიდებლობას, ვარდითა და ყვავილებით შეამკობს ჩვენი ერის მომავალს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ფრიად სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადავდგით—დიდის მოფიქრებითა და წინდახედულობით უნდა მოვიქცეთ.

დღეს ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის და ჩვენვე უნდა გამოვჭედოთ მომავალი ჩვენი ერისა, საქართველოს დღეს უთენდება თავისუფლების დღე,—დღეს წყდება ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი ეხლა იდგამს იგი ფეხს და ებმება საკაცობრიო ფერხულში.

მართალია ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გვეღობება წინ, როგორც შინ, ისე გარედ,—საშინელია ჩვენი აწმყო მდგომარეობა:—ეკონომიური, ფინანსიური, სასურსათო კრიზისი, სამხედრო მოუმზადებლობა გვიბოჭავს ხელს, მაგრამ ძლიერია, ერის სულიერი განწყობილება, დიდია ხალხის სურვილი ჩვენი თავისუფლების განმტკიცებისა. ჩვენ გვრწამდა და გვრწამს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი შესძლებს თვისი ბედის, თვისი თავისუფლების არსებობის შენარჩუნების, დაცვას.

დღეს ყველა ჩვენგანი მოვალეა დემოკრატიის, ერის ძალების გაერთიანებას, შესწიროს თვისი სიცოცხლე.

თუ სასიხარულო და სასიამოვნოა საქართველოს თავისუფლება,—ასეთივე სასიხარულო უნდა იყოს ყველასათვის ამ თავისუფლების დაცვა, ბრძოლა მისთვის.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა გავიხადოთ ჩვენს უმთავრეს მიზნად ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს თავისუფლებას ბევრი მტერი ჰყავს და ამ მტრებს უნდა შევებრძოლოთ.

ვინც ჩვენს თავისუფლებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას გადაეღობება წინ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. თავისუფლება უმსხვერპლოთ არ მოიპოვება. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს იმგვარ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც საჭიროა მთელი ერის ძალთა ამოძრავება, მობილიზაცია. ვისაც თავისუფლება და ზავი სწყურია, ის მზად უნდა იყოს ომისათვის.

კოკი აბაშიძე

ომის დეპეშები

ხტამბოლი. 27 მაისი. საომარი ცნობა.

პალესტინის ფრონტი. ზღვის სანაპიროებით ჩვენ ბატარეებს მტერმა სროლა აუტეხა. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა ზარბაზნებისა და თოფების. რაფატის სამხრეთ-დასავლეთით ერთმა ჩვენმა პატრულმა გადალახა მტრის მავთულიანი ხლართები და მისი დარაჯები გარეკა. იორდანეს ქალაქში მტრის კავალერია გავრეკეთ. ჩვენი მზვერავი პატრულები დაეცნენ მტრის სიმაგრის (ხიდის წინ რომ იყო) ნაწილს იორდანეზე. ამან ხელი შეუწყო ჩვენს ჯარს, რომელიც მიუახლოვდა მტრის მავთულიან ხლართებს. მისი დარაჯები და პატრულები ყველგან გავრეკეთ. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ვადიფში აჯანყებულებს. მათი მოქმედება ბრწყინვალედ დამთავრდა.

მესოპოტამიის ფრონტი. ჩვენი ლაშქრის მარცხენა ფლანგმა კერკუკი აიღო. ინგლისელები უკან იხევენ სამხრეთის მიმართულებით. დარდანელთან საჰაერო ბრძოლაა ორივე მხრით.

ბერლინი. 27 მაისი. დილის ცნობა. ოფიციალური.

დასავლეთის ფრონტი. მეტერნის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ ბრწყინვალედ ვმოქმედობდით და რამდენიმე ინგლისელი დავატყვევეთ. საარტილერიო მოქმედება მხოლოდ ნაშუადღევს გაცხოველდა. მტრის მოქმედება დაიწყო კემელის რაიონში, ლისის ჩრდილო ნაპირას, არრასსა და ალბერტს შუა და ავრის დასავლეთ სანაპიროზე. ფრონტზე მზვერავი რაზმების ცხოველი მოქმედება გრძელდება.

ბერლინი. 27 მაისი. საღამოს ცნობა. საარტილერიო ბრძოლა ფლანდრიაში, ლისთან, სომისა და ავრის ორსავე ნაპირას სასტიკ ხასიათს იღებს. ლაონის სამხრეთით დილიდან ბრძოლა სწარმოებდა შმენ-დე-დამის მახლობლად. გერმანელ კრონპრინცის ჯარმა [illegible] აიღო და [illegible] ბრძოლას აწარმოებს.

პარიზი. 27 მაისი. საომარი ცნობა. საარტილერიო ბრძოლაა გაცხოველებული მეუზის ორსავე ნაპირას, სენმიხელის რაიონში და ლორენტის (?) ფრონტზე. გერმანელების აგრესიული მოქმედება ფეი-ენ-ხეის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ.

ევროპა და ევროპული ცივილიზაცია

I

იმისდამიხედვით, თუ როგორი ნადირი მოიპოვება ადამიანის მახლობლად, იცვლება მისი ცხოვრება. თუ სასარგებლო ნადირი ადვილად იშოვება, და მისი ხორცით თავის გამოკვება იოლია, ადამიანი ძნელად ჰკიდებს ხელს მიწის მუშაობას, არიელების და სემიტების პირვანდელი საზოგადოებრივობა მეჯოგეობა იყო, რაიც შეუძლებელი იქნებოდა, რომ მათ ადგილებში მრავლად არ ყოფილიყო ადვილად მოსაშინაურებელი ცხოველი—ცხენი, ხარი, აქლემი, ცხვარი. ბევრი სხვა და სხვა ცხოველია, რომ ადამიანის დახმარეა და ცხოვრების ტვირთს უმსუბუქებს. მაგრამ მრავალია ისეთი, რომელიც ადამიანს ებრძვის, ანადგურებს მის სარჩოს. ძველად ასეთ ნადირებთან ბრძოლა საერთო საქმე იყო. მგლებისაგან თავის დასაცავად ჯარი [illegible]. მე მახსოვს ჩემის ბავშობის ამბავი: თუ ვინმე ჩვენს სოფელში მგელს მოკლავდა, [illegible] კარს და კარ ჩამოატარებდა და ყოველი ოჯახი [illegible] იყო თითო სახი ღომი და თითო კვერცხი მიეცა ჯილდოთ. ინდოეთში ლომები და ვეფხვები მთელს სოფლებს ამოსწყვეტს ხოლმე. იქაუ ყოველ წლიწადს 25 ათასი ადამიანი კვდება გველის ნაკბენით. კალიები როგორ სპობენ ნათესს, ჩვენც კარგად ვიცით. აფრიკაში ჯინჭველები ერთიან ანადგურებენ საჭმელს, ტანსაცმელს, ლოგინს, ჭურჭელს. ერთმა პორტუგალელმა ვაჭარმა უამბო ლივინგსტონს აფრიკაში: „ადამიანი, რომელიც დღეს მდიდარია, ხვალ შეიძლება სრულიად გაღატაკდეს თეთრი ჯინჭველების თავდასხმის წყალობითო".

გადავიდეთ ეხლა მიწის მოყვანილობასა და ნიადაგზე. რამდენად მრავალფეროვანია და მდიდარი ნიადაგი, იმდენად სხვა და სხვანაირია ადამიანთა ცხოვრება ნილოსის მიდამოები აბსოლიუტურად არ იყო მრავალფეროვანი, მაგრამ თუ შევადარებთ მეზობელ ადგილებს, დავინახავთ, რომ ეგვიპტე დიდ მრავალფეროვნობას წარმოადგენდა. ბაბილონ-ასურელების მიწა-წყალი მდიდარი იყო სხვა და სხვაობით შედარებით აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე ადგილებთან. ასევე მრავალი თვისებისა იყო ის ტერიტორია, სადაც აღმოცენდა ფინიკიელთა კულტურა. განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ საბერძნეთს. დედამიწის არც ერთს კუთხეს არ მოეპოვება ასე უხვად შეზავებული ზღვა, ხმელეთი, მდინარე, მთა და ველი. ყოველ ნაბიჯზე სხვანაირი ბუნება, სხვანაირი თვისებაა. მრავალფეროვნობა დამახასიათებელია საქართველოს მდებარეობისაც. არც ცენტრალური აზია, არც ცენტრალური აფრიკა, არც ორივე ამერიკის შუა ადგილი არ ყოფილა აკვანი ასე თუ ისე თვალსაჩინო ცივილიზაციისა. სპენსერი სწერს: „ისეთი მიწა-წყალი, როგორსაც წარმოადგენს რუსეთის მინდვრები, შეიძლება გამოსადეგი იყოს უცხო კულტურის გადასანერგად, მაგრამ აქ არასოდეს არ აღმოცენდება საკუთარი დამოუკიდებელი ცივილიზაცია, ვინაიდან სუსტია გავლენა, რომელმაც უნდა გამოიწვიოს საზოგადოებრივი დიფერენცია თუ ნიადაგში მოიპოვება მადნეულობა, ეს ბუნებრივად იწვევს მთამადნის მრეწველობის განვითარებას. სადაც ლითონი არ მოიპოვებოდა, იქ შეუძლებელი იყო თავი დაეხწია ადამიანს ქვის იარაღებისათვის. სადაც ქვა, კირი, დუღაბი საშოვარი იყო, უეჭველია იქ შენობები სხვანაირი სახის იქნებოდა, ვიდრე იქ, სადაც იმის შოვნა ძნელი იყო. ჩვენი ძველის ძველი ტუბალ-კაინი თუ „კვერით ხურო იყო, მჭედელი რვალისა და რკინისა", ცხადია რომ მადნის ადგილებში ცხოვრობდა.

თუ მიწა-წყალი მინდორს და ველს წარმოადგენს, ადვილია ხალხის გაშლა. თუ ადგილს სადმე ბუნებრივი საზღვარი აქვს მაინც დადებული—მთა, მდინარე, ზღვა,—ამ ადგილზე მცხოვრებნი იოლად კავშირდებიან, ან ერთი მეორეს იპყრობს, იმორჩილებს. სამაგიეროდ თუ მიწა მთიანია, ცალკე თემები დამოუკიდებლად არსებობენ, მთა ავითარებს მათში შეუპოვრობას და უდრეკელობას სულს. ეს აძნელებს მათ დაპყრობას და შეჯახებასაც. ილირიელებმა თავის მთების წყალობით თავისუფლება დაიცვეს ბერძნებისაგან და წინააღმდეგობა გაუწიეს მაკედონელებს ალექსანდრეს დროს. ასეთსავე მაგალითს გვაძლევენ შვეიცარიელები და ჩერნოგორიელები. თუ როგორ მედგრად ებრძოდნენ კავკასიელი მთიელები რუსეთს, —ყველამ კარგად იცის. რომაელები ორი საუკუნის განმავლობაში ამაოდ იდგნენ ალპების წინაშე, ვიდრე მოახერხებდნენ გადასვლას. საქართველო რომ ვერ მოსპო საუკუნეების ურიცხვმა მტერმა და დაუსრულებელმა ბრძოლამ, ამის მიზეზი იყო ჩვენი სამშობლოს მთიანი მდებარეობა და ძნელად მისადგომი ადგილები. ეს იყო სხვათა შორის იმის მიზეზიც, რომ იგი რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ დაქუცმაცდა—ერთი თემი ადვილად გაურბოდა მეორე თემის შესევას და ძალას.

განუსაზღვრელია ზღვის გავლენა. ადამიანი ხმელეთის ცხოველია და წყალი პირველ დროს დიდად აბრკოლებდა მის ზრდას, მოძრაობას. მაგრამ იმ დღიდან, რაც ადამიანმა პირველი ნავი გააკეთა, პირველი ტივი გაუშვა და ფეხი მოიდგა წყალზე, წყალი უძლიერესი საშუალება შეიქმნა საზოგადოების განვითარებისათვის. თანამედროვე ინგლისის ძლიერება ზღვაზეა დამყარებული. რომი თუ მსოფლიოს ბატონი შეიქმნა, იმის წყალობით, რომ ხმელთა შუა ზღვას ეკრა. საბერძნეთის მაღალი კულტურის ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო ზღვის ნაპირების სიმრავლე. ზღვა ფრიად უწყობს ხელს მისვლა მოსვლას, აფართოვებს ადამიანის გონებას, ფრთას უშლის მის შემოქმედებას. ზღვის ნაპირას მცხოვრები მუდამ ახალის მაძებარი და მკვლევარია. მისი სული ყოველთვის წინ მიისწრაფვის, შორს მიილტვის. ზღვის ნაპირას ვითარდება ქალაქური ცხოვრება, ვაჭრობა, მრეწველობა. აღსანიშნავია კუნძულური მდებარეობა. ასეთი ადგილის ხალხი ადვილად იცავს თავის დამოუკიდებლობას, აქ მუშავდება თავისუფალი ხასიათი, იჩენება სიმტკიცე და ენერგია. დიდი განსხვავებაა ინგლისსა და იაპონიის შორის, მაგრამ მათ მკვიდრთა შორის ბევრი რომ საერთოა, იმიტომ, რომ ორივე ქვეყანა კუნძულს წარმოადგენს.

მდინარეები თითქოს ზღვის ტოტებია, და საუკეთესო გზა ცივილიზაციისათვის. მდინარე მრავალ სიმდიდრეს იძლევა, რწყავს მიდამოებს, აადვილებს მიმოსვლას. ყოველი პირვანდელი მოსახლეობა მდინარის ნაპირებთან იყო. ყოველი ზრდა მდინარის პირებს მიჰყვება. ამბობენ ეგვიპტის კულტურა ნილოსმა აღმოაცენაო. წარმოუდგენელია ბაბილონის კულტურა და ვერც სპარსულ-არაბულის კულტურას იხილავდა ისტორია, რომ ამ ადგილებს არ აცხოველებდნენ ტიგროსი და ეფრატი...

ბევრი მაგალითი შეგვეძლო კიდევ დაგვესახელებია, თუ როგორ საზღვრავს ბუნება ადამიანის და საზოგადოების განვითარებას. მაგრამ ჩვენი მიზნისთვის ესეც საკმარისია. ჩვენი მაგალითები შეეხებოდა აგრე ვსთქვათ გარეგნულ პირობებს, რომლებიც აძლევენ მიმართულებას ადამიანის მოღვაწეობას, უჩვენებენ გზას, საითკენ უნდა მიმართოს მან თავისი გონება, რომლებიც არკვევენ ქონებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური მდგომარეობის ფარგლებს. რასაკვირველია ამ პირობებს გავლენა აქვთ ადამიანის ფიზიკურ და სულიერ აგებულებაზედაც, ისინი ჰქმნიან განსაზღვრულს ტიპს, სახეს, ხასიათს. მაგრამ გეოგრაფიული პირობები პირდაპირაც მოქმედობენ ადამიანის სულიერ აგებულებაზე, ანვითარებენ განსაკუთრებით ამა თუ იმ მხარეს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბუნება, დიადი მრისხანე, ლამაზი, მწირი თუ ღარიბი—იცვლება ადამიანის გონება, ნიჭი და საერთო მსოფლმხედველობა. საკმარისია გავიხსენოთ აქ ის დაპირისპირება ინდოეთისა და საბერძნეთის, რომელსაც აგვიწერს ცივილიზაციის მკვლევარი ბოკლი. „ბუნების მოვლენანი, რომლებიც ინდოეთში წარმოადგენენ საშინელ სიდიადეს, საბერძნეთში გაცილებით ნაკლებნი არიან თავის სიდიდით, სუსტნი და მცირედად მრისხანენი ადამიანისთვის. ინდოეთის ტროპიკული ჰავა მეტად მავნებელია, აქ აღმართულია უზარმაზარი მთები, რომელთა მწვერვალები თითქოს ცას სწვდებიანო; მათ კალთებიდან დაეშვებიან მძლავრი მდინარენი, რომელთა გადალახვა არ ძალუძს არავითარ ხიდს, რომელთა კალაპოტს ოდნავად ვერ შესცვლის ადამიანის ხერხი და ცოდნა; აქაა უზარმაზარი, თვალშეუწვდენელი უტეხი ტყეები, მთელი მხარეები დაუსრულებელი ჭაობითაა დაფარული, იმას იქით კიდევ უსაზღვრო ველებია,—ყველაფერი ეს აფრთხობს ადამიანს, იწვევს მასში უძლურების გრძნობას და შიშს. ინდოეთს ორის მხრით აკრავს დიდი ზღვა, სადაც საშინელი ქარიშხალი და ღელვა იცის, რომლისგან თავის დაცვა ყოვლად შეუძლებელია. ყველაფერი თითქოს განზრახ ისეა მოწყობილი, რომ შეზღუდოს ადამიანის მოქმედება..." სულ სხვა სურათს წარმოადგენს საბერძნეთი. ინდოეთივით იმასაც ნახევარი კუნძულის მდებარეობა აქვს. სივრცე პატარა უკავია, ადვილად შეუძლია მიმოსვლა აღმოსავლეთისკენ—მცირე აზიასთან, დასავლეთისკენ იტალიასთან, სამხრეთისკენ ეგვიპტესთან. ჰავა საღია; მიწის ძვრა, ქარიშხალი იშვიათია. ნაკლებად შეგვხვდებათ მხეცი და მავნებელი ცხოველი. უდიდეს მთას გიმალაის მესამედი სიმაღლე არა აქვს. არც დიდი მდინარეებია.

ამ ბუნების სხვა და სხვაობისგან წარმოიშვა ინდოელის და ბერძნის სულიერი განსხვავება. ინდოელი ისე

ახალი ამბავი

◆ **დღეს,** 12 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. კანდიდატებსაც დასწრება შეუძლიათ.

◆ **გზათა მინისტრს** მთავრობამ აცნობა რომ ბ-ნ არაქელიანს და ქ-ნ გრიგორიანს, და ქ-ნ ისტამანოვისას ნება დართეს სანაინში წასვლის იქიდან 2000 ბავშვის წამოსაყვანად.

◆ **აზერბეიჯანის მთავრობა.** ხმები დადის რომ შესდგა აზერბეიჯანის მთავრობა. რომლის სათავეში სდგას **ხან ხოისკი.** მთავრობას განზრახული აქვს თავის რეზიდენციად ტფილისი ამოირჩიოს.

◆ **მინისტრ-პრეზიდენტის** და შინაგან საქმეთა მინისტრის დროებით ტფილისიდან წასვლის გამო მინისტრ პრეზიდენტის მოვალეობას დროებით შეასრულებს სამხედრო მინისტრი გ. ტ. გიორგაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას შეასრულებს ქ. გვარჯალაძე.

◆ **კვირას, 2 ივნისს ქართ. უნივერსიტ. სტუდენტთა** კავშირის კასსის სასარგებლოთ გაიმართება საღამო. დაწვრილებითი პროგრამა საღამოსი გამოცხადებული იქნება აფიშებში.

◆ **საჭიროა საქმის მწარმოებელი** ბათომის პარტიზანულ პოლკის სამეურნეო ნაწილისთვის. ეროვნება სულ ერთია. ჯამაგირი 400 მ. თვეში, ბინა და საზრდო. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 1, სოც. ფედერალისტთა პარტიის კლუბი, აკაკი ტუსკია.

◆ **დაჭრილნი.** გარდა იმ პირებისა რომელთა სია გუშინდელ №-ში გვქონდა მოყვანილი, დაჭრილნი არიან: ოფიცერი გაბუნია, (ზესთაფონელი მსუბუქად), ვანო ოქროპირიძე (პარტიზანი, სუბუქად) და ვასო ზაქარიძე (სუბუქად მარცხენა ხელში).

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ № 2.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში სამწუხარო შეცდომა შეგვეპარა სეიმის სხდომის ანგარიშში. მე-2 გვერდის მე-6 სვეტში სწერია: რეზოლიუცია „მიღებულია ხმის უმეტესობით, წინააღმდეგია ორი მუსულმანი“ უნდა იყოს „ორი სომეხი“.

ამას გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ პირველ მუხლში სწერია: „ამიერიდან საქართველოს ხალხი უფლებათა მატარებელია“ უნდა იყოს „სუვერენულ უფლებათა მატარებელია“.

სოფლად და ქალაქად

გორი.

◆ 16 მაისს გორის სარევოლიუციო ტრიბუნალში გაირჩა საქმე ადგილობრივ სასამართლოს მდივნის ა. შატუნოვის და ვაჟარ ვარსიმაშვილისა. ამათ ბოლშევიკობა ბრალდებოდათ და 7 თებერვალს აქეთ დაპატიმრებული არიან. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ვარსიმაშვილი ჯარისკაცებს თურმე ათრობდა და საპროვოკაციოდ ხელს უმართავდა, ხოლო შატუნოვი დადიოდა პოლკში, აწყობდა მიტინგებს და ჯარის კაცებს ამიერ კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ ასისინებდა. შატუნოვი მეტად სულ მდაბალი „ლიდერი“ აღმოჩნდა და დაპატიმრების ორი-სამი კვირის შემდეგ ადგილობრივ მუშათა საბჭოს „შენანიების“ ქაღალდი გამოუგზავნა. სთხოვდა შეცდომა მაპატიეთ და პირობას მოგცემთ თავის დღეში აღარაფერი ჩავიდინოვო და ბოლშევიკების მოღვაწეობასაც უარყობდა. მუშათა საბჭომ, რასაკვირველია, მისი შუამდგომლობა არ შეიწყნარა და დღემდე „შენანიებული ბოლშევიკი“ საკანში ჰყავდა გამომწყვდეული. საქმის გარჩევის დროს ვარსიმაშვილმა თავი დამნაშავედ არა სცნო და სთქვა—ჯარის კაცების აჯანყების დროს გული მქონდა შიშით გახეთქილი და შინ ვიმალებოდი, რა მეთაურობის და წაქეზებისა მცხელოდაო. შატუნოვმაც თავის მართლება დაიწყო და მენშევიკების მოღვაწეობა გააკრიტიკა. ტრიბუნალმა ორივე დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ვარსიმაშვილს ექვსი თვის ციხე, შემდეგ კი გორის მაზრიდან გადასახლება, შატუნოვი კი ეხლავე იქმნას გაძევებული გორის მაზრიდან.

◆ გამოქცეულნი გორსაც მოაწყდნენ. ზოგი მათგანი ცხინვალისკენ მიეშურება.

◆ შიშიანობის ხმით ისარგებლა ყველამ და სანოვაგის ფასს ერთი-ორად აუწიეს. სოფლიდან შემოტანილ ხელის ტოლა პურს 3 მანეთს აფასებენ. ადგილობრივმა მეფურნეებმაც ტალახივით პური გირვანქა 4 აბაზი გახადეს. ქალაქის გამგეობამ საჭიროა ამის წინააღმდეგ დროზე ზომა მიიღოს.

◆ ჰინქლიანი გამოდგა მაისი. წვიმს ხშირად, ჰქრის ქარი და ცივა.

◆ ცეცხლი მოეკიდა ცხოვრებას. გავარდა თუ არა ხმა მოსალოდნელ საშიშროებისა, ყველა ერთი-ორად გაათამამდა და ერთი-სამად აუწია ფასი ყველაფერზე. ხელის ოდენა მჭადი 1—2 მანეთად იყიდება. საქმეს ერთი ორად ართულებს ის, რომ არ არის ხურდა ფული. ხუთთუმნიან ბონებს კი თითქმის აღარავინ ახურდავებს. აქამდე ტალახივით პური გირვანქა სამ აბაზად იყიდებოდა; მეფურნეებმა ეს არ იკმარეს და თავის ნებით გირვანქაში 4 აბაზს აფცქვნიან ხალხს. და ეს, რასაკვირველია, შეუძლო ხალხს აწვება ზედმეტ ბარგად კისერზე. ხალხი მოითმენს ათას გაჭირვებას, მოითმენს სიმშილს, მაგრამ სიმშილი როგორ მოითმინოს? მეფურნეების თავხედობა კი სიმშილს უწყობს ხელსა. საკვირველია ღმერთმანი ქალაქის გამგეობის საქციელი. თუ იცის ეს რატომ არავითარ ზომას არ იღებს, რომ ისედაც სულ ამოხდილ ხალხს ზედმეტად სული არ ამოჰხადონ, და თუ არ იცის, რად ჩაკეტილა ოთხ კედელ შუა და რატომ გარედ ხალხში არ გამოიხედავს?

◆ მთელს ქალაქში, ქალაქის კომისარის ტატიევის ხელმოწერით რუსული განცხადებები გააკრეს—შინაგან საქმეთა მინისტრამდე ხმა მიდის, რომ ოსთა მშვიდობიან მცხოვრებლებს ავიწროვებენ და შეურაცხყობას აყენებენ. ვაცხადებ მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ვინც ოსობას შევიწროვებას მიაყენებს გორში, სასტიკად დაისჯებაო. საკვირველია ღმერთმანი, რად „ებრძვიან“, ან რად ართულებენ იმას, რასაც ხალხში ადგილი არა აქვს. მართალია, ცხინვალის ამბოხების დროს ოსობას ხალხი ცოტა ალმაცერად უყურებდა, მაგრამ ეხლა ამას ადგილი აღარა აქვს, მეტადრე გორში. უმჯობესი იყო თავის ძალა და ენერგია იმ ანარქიასთან ბრძოლაში მოეხმარათ, რომელიც თანდათან უფრო და უფრო იპყრობს ჩვენს სოფელს. ან ვისთვის იწერება განცხადებები რუსულად? თუ რუსობა გყავთ მხედველობაში, რუსობა გორში თითებზე ჩამოსათვლელია; ინტელიგენციამ თვითონაც კარგად იცის, რომ სხვის შევიწროვება გასაკიცხია და მთავრობისაგანაც დაისჯება. მაშ ვისთვის? მდაბიო ხალხისთვის? მაგრამ მდაბიო ხალხს რუსული რომ ფრიად ნაკლებ ეყურება? ან და ნაციონალიზაცია კატამ წაიღო?..

◆ დიდს გასაჭირშია ადგილობრივი ფოსტა ჩავარდნილი უფულობის გამო. ფულის პატრონთ ფულს ვერ აძლევენ და დღე-მუდამ საყვედურს და უსიამოვნობას იღებენ ხალხისაგან. დრო იყო მთავრობას ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექცია.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ოთხშაბათს, 29 მაისს პარტიის კლუბში გაიმართება არაჩვეულებრივი საზოგადო კრება მომენტის შესახებ. ილაპარაკებენ: გ. ლასხიშვილი, შ. მესხიშვილი, სამს. ფირცხალავა, ალ. მდივანი, გრ. რცხილაძე და სხვ. კრების დასაწყისი საღამოს სწორედ 7 საათზე.

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ბიუროში ამხანაგებ ქალების კრება. ყველას ვთხოვთ დაესწრონ.

კვირას, 2 ივნისს გორში პარტიის დარბაზში ამხ. თედო ღლონტი წაიკითხავს მოხსენებას „საქართველო და გერმანიის“ შესახებ.

საადგილ-მამულო რეფორმა

ქუთაისის გუბერნიაში 12 კომისია მუშაობს მამულების ჩასაბარებლად: ქუთაისის მაზრაში—3 კომისია, შორაპნის მაზრაში—3, სენაკის მაზრა—3, ზუგდიდის—1 და რაჭის მაზრაში—1. ქუთაისის მაზრაში 5 მამული ჩაიბარეს კერძო მფლობელისა, შორაპნის მაზრაში ჩაიბარეს თავ. ბაგრატიონის მამული, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში—თავ. მინგრელსკის მამული. ოზურგეთის მაზრაში მუშაობა—მამულების ჩაბარება—არ სწარმოებს.

ახალციხის ფრონტი

ბაკურიანი. 26 მაისი. ლტოლვილები თავის ადგილზე ბრუნდებიან. ოსმალოებმა თავის პოზიციებზე დაიხიეს ძველ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებამდის, სოფ. კარზახის მახლობლად. შიშიანობა თან და თან სცხრება.

პარტიზანულ რაზმში. რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო:

„გთხოვთ დაბეჭდოთ, რომ პარტიზანი კობახიძე მოკლული არ არის; ის ცოცხალია და ჯანსაღადაც არის“.

ბათომის პარტიზანული რაზმის უფროსი.

„ქართლის ცხოვრება“

1848 წ. როდესაც იტალიამ ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება და უცხო ბატონი მოიშორა, რუსთა დიდი მწერალი ჰერცენი იქ იყო, იტალიაში. იგი მადლობას უძღვნიდა განგებას, რომ „იტალიის ამ უდიდეს წუთში“ იგი იქ იყო და გაოცებით კითხულობდა: „როგორ მოხდა, რომ ერმა, რომელმაც სამი საუკუნის წინად დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ერმა ყოველი გზით დამდაბლებულმა, დაჩაგრულმა, უცხოთა მიერ დაპყრობილმა და დანაწილებულმა, საუკუნენახევრის განმავლობაში რბეულმა და ბოლოს ცხოვრების ველიდან გამოსულმა, ოდესღაც ძლიერმა, გალენიანმა, იეზუიტებით გაზრდილმა, შემდეგ კი ჩამორჩენილმა, მიტოვებულმა და დაზარმაცებულმა, უცბათ მოიკრიფა ძალღონე, მოიწადინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მოქალაქეობრივი უფლება და ხელ-ახალი მონაწილეობა ევროპის ცხოვრებაშიო“.

ესვე სიტყვები შეუძლიანთ გაიმეორონ საქართველოზედაც. ჩვენი ქვეყანაც, რომელმაც ერთ საუკუნეზე მეტია დაჰკარგა დამოუკიდებლობა, (ანუ უკეთ: წაართვეს.) რომელიც იჩაგრებოდა, იდევნებოდა და ირბეოდა, რომელიც უწინ თორნიკე ერისთავის, და სხვათა მომარ სულით იზრდებოდა, შემდეგ კი ერის ლაქიების მიერ ირყვნებოდა და იწიხლებოდა, აი ეს ერი აღსდგა და ჩვენი თავისუფლების კუბოს თავზე ეროვნული შტანდარტი აღმართა. აღსდგა ერი. გათავდა ჩვენი ცხოვრების ხან-გრძელი ანტრაქტი.

აიხდა ფარდა და ქვეყნიურ სცენაზე კისკასი საქართველოც გამოჩნდა. რა უყოთ რომ ირგვლივ ხმლებს ულესავენ, რა უყოთ რომ ცეცხლსაც უნთებენ, რომ მის კვამლში გამოახრჩონ ძველი რაინდი. სულ ერთია. ისტორიული მონოლოგი მაინც ითქვა, განახლდა „ქართლის ცხოვრება“. იწყება საქართველოს ისტორიის ახალი ხანა. ქართველი ერი, აქამდე კოლექტიური ცნებად ანუ ლოღიკურ აბსტრაქციად გადაქცეული, დღეიდან იქნება ცოცხალ შემოქმედებითი დასაბამად, სულიერ ორგანიზმად, რომლის წიაღშიც ყოველი წევრი მაცოცხლებელ კავშირით შედუღდება და შეზრდება. ამიერიდან ჩვენი ქართული სული სტიქიურად უნდა გამომჟღავნდეს ეროვნულ შემოქმედების მრავალსახეობით, და უნდა იპოვოს თავისი ლოგოსი. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ისტორიული პროცესი. აქეთ არის მიმართული ჩვენი შეგნებული საქმიანობაც.

დიდი ხნის პასსივობის შემდეგ, ქართველობამ კვლავ მოსძებნა თავისი არსებობის ისტორიული ტან-საბური. აუცილებელი—საარსებო ნაჭუჭი—სახელმწიფო. და თუ საზოგადოდ სახელმწიფონი თავიანთ წარმოშობით და დღევანდელი რაობითაც ეროვნულნი არიან, კერძოდ საქართველოც შეუერთდება მათ გუნდს და საქვეყნოდ მოსთხოვს მათ თავისი არსებობის ისტორიულ შეფასებას. „ძალიც შემწევდეს ქადილსაო“-ეს ქართველის ნათქვამია და საქართველოს, შოთას სამშობლოს ხომ შეუძლიან ეს დაქადება? შეუძლიან. ჩვენი ერის კულტურული დონე მეცხრამეტე საუკუნემდე ყურად-საღები იყო, და თუ მეცხრამეტე საუკუნეში შემოქმედებითი უნარი ვერ გამოვიჩინეთ სავსებით—ამას ხომ ბევრი გასამართლებელი მიზეზი აქვს. ჩვენი ჩამორჩენილობის მიზეზი რუსეთის ჩამორჩენილობაში უნდა ვეძიოთ. ამიერიდან ეს მიზეზი ისპობა, და ალბად ევროპის კულტურას ჩვენ უშუამავლოდ ვეზიარებით, და თუ ამ 15 საუკუნის წინ ქართველი ერი მოინათლა რელიგიის ემბაზში, დღეს კულტურულ ემბაზს გავიჩენთ და მოვინათლებით. ასეთია ჩემი იმედიანი პერსპექტივები. მაგრამ მტერი? და დღეს აღარც მტრისა მეშინიან. უკეთ; არ მინდა რომ მეშინოდეს. მგონია რომ ომს, კაცობრიობის ამ ხრონიკულ ავადმყოფობას ჩვენ გაუძლებთ. გაუძლებთ მით უმეტეს, რომ ჩამოგვცილდა უნდო ელემენტი, და ჩვენ სახელმწიფოებრივ თავ-დაცვას მიეცა აზრი. ჩვენ ხომ ომს არ ვიწყობთ. ჩვენ გვეომებიან, და თუ ამ ომს ორგანიზაცია არ მივეცით, თუ ეს დიდი ნაბიჯი არ გადავდგით, ზავის ჩამოგდება შეუძლებელი გახდება. მხოლოდ რკინის ურდულით შეიძლება მრისხანე ომის კართა დაკეტვა. მხოლოდ გაერთიანებით შევსძლებთ მტრის ავგაროზის მოტაცებას, რომ მას გათავხედებულს უზდელობა აქ დაატყდეს, ჩვენს კერაზე. დიახ, ყველანი ერთად, ქართული დროშის ქვეშ. ომი ერს ყოველთვის აერთიანებდა და დღესაც ასე უნდა მოხდეს, თუ ჩვენ ერი ვართ. მოიგონეთ დაფანტული ელლადის ისტორია. სამჯერ გაერთიანდა იგი, და ეს გაერთიანება სამჯერვე ომით იყო გამოწვეული. პირველად ტროას ომით, შემდეგ სპარსეთის და ბოლოს ალექსანდრე მაკედონელის ომებით. ტროას ომის დროს ათი წლის განმავლობაში ქუდზე კაცი იდგა იარაღ-ქვეშ, მაგრამ მოკანცულობას არ დაუქსაქსავს იგინი. ბურჯივით იდგნენ. და პატარა საბერძნეთმა მოსტეხა და უკუ აქცია სპარსთა მილიონობით დასათვლელი ლაშქარი. მაგრამ რათ გვინდა საბერძნეთი? განა საქართველოს ისტორია კი ღარიბია ამგვარ ფაქტებით? ან და თვით ამ უკანასკნელ ხანებში. ჩვენმა ლაშქარმა დიდად არ დაამარცხა მტერი? ბათომის სირცხვილი ჩოლოქის გამარჯვებამ გამოისყიდა. ერთი ასეთი გამარჯვებაც და ოსმალეთის კრიჭა შეიკვრის. რუსული ანდაზაა: „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ჰგონიათ“-ო. ასეა ოსმალეთის საქმეც. და ოსმალეთის ლაშქარზე მეტი აღფრთოვანებით ჩვენ გვმართებს საოცარი საქმიანობა, მიტომ რომ ისინი იმპერიის გახურებულ ტაფაზე იწვებიან, ჩვენ კი რევოლიუციის წითელ დროშას და საქართველოს მკვდრეთით აღდგენას შევხარივართ ქაბუკ გრძნობით. მაშ საქართველოს განთავისუფლების აღსანიშნავად დაე მთელი ქართველი ვაჟკაცობა, ქუდზე კაცი შეიკრიბოს ჩვენი ეროვნული დროშის ქვეშ და ავაფრიალოთ ქართული სახელმწიფოებრივი აპარატი. ყველა საჭიროა. მხოლოდ უმთავრესი ბრძოლის ველია და იქით უნდა გაიცქირებოდეს ყველა. ავინთოთ რევოლიუციონერთა პატიოსან ცეცხლით და მივბაძოთ ჩვენ მასწავლებლებს—ფრანგებს. იმათ რევოლიუციის დროს ყველაზე მეტი გმირობის უნარი გამოიჩინეს, და ძუ ვეფხვივით ებრძოდენ ირგვლივ შემორტყმულ მათი თავისუფლების მტრებს ჩვენც ისე. და თუ როგორც იქ, ზოგიერთნი ჰკითხულობდნენ: „ვისთვის უნდა ვიბრძოლოთო“, ჩვენც მათებრ, პრიერის პირით უპასუხოთ: „თქვენ იბრძოლებთ თქვენი ოჯახებისთვის, თქვენი ცოლ-შვილისთვის, ერისთვის და რესპუბლიკისთვის. თუ თქვენ საამისო არც განზრახვა გაქვთ და არც ვაჟკაცობა, რომ დაიცვათ ეს კეთილშობილი საქმე, წადით, მოგვშორდით“ ასეთი მკვახე იქნება ჩვენი პასუხი. საქართველოს კეთილდღეობისთვის ჩვენ დაუნდობლობა უნდა ვისწავლოთ.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

პირველი ქართული საფილოსოფიო საზოგადოება

(დამფუძნებელი კრება, წევრთა არჩევანი, წესდება)

ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური აღორძინების ისტორიულ დღეს, 26 მაისს, ჩვენს კულტურულ დაწესებულებათ შემატა ერთი ახალი წევრი—**„პეტრიწის სახელობის საფილოსოფო საზოგადოება“** ტფილისში. დამფუძნებელი კრება გახსნა ერთმა ინიციატორთაგანმა—ს. რ. გორგაძემ ქართული უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში, დილის 11 საათსა და 15 წუთზე. დაესწრნენ: უნივერსიტეტის რექტორი პეტრე მელიქიშვილი, პროფესორები და მეცნიერი ხელმძღვანელნი: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნილი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე (ინიციატორი), იოსებ ყიფშიძე (ინიციატორი), გიორგი ახვლედიანი, იუსტინე აბულაძე, ინიციატორი გრიგოლ რობაქიძე, ქართული მუზეუმთა გამგენი: დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი, ბ-ნი ილია ჭყონია, სტუდენტები და გარეშე საზოგადოება, სულ 25 კაცამდე.

კრებამ „საზოგადოება“ დაარსებულად გამოაცხადა, განიხილა და დამტკიცა წესდების პროექტი და აირჩია 46 ნამდვილი წევრი, სახელდობრ (გვარები ანბანურს რიგზეა დაწყობილი) **ტფილისში:** 1. აბულაძე იუსტინე, ახვლედიანი გიორგი, გიორგაძე გრიგოლ, გოგიჩაიშვილი ფილიპე, 5. გომართელი ივანე, გორგაძე სერგი, ვართაგავა იპოლიტე, ვეფხვაძე ტერენტი, ვირსალაძე სპირიდონ, 10. ვეშაპელი გრიგოლ, თაყაიშვილი ექვთიმე, ინგოროყვა პავლე, კაკაბაძე სარგის, კეკელიძე კორნილი, 15. ლასხიშვილი გიორგი, მარგველაშვილი ტიტე, მელიქიშვილი პეტრე, ნათაძე ლეონ, ნაკაშიძე ილია, 20. ნუცუბიძე შალვა, ჟორდანია ნოე, რამიშვილი ნოე, რობაქიძე გრიგოლ, 25. საყვარელიძე პავლე, უზნაძე დიმიტრი, ფირცხალავა სამსონ, ქიქოძე გერონტი, ღლონტი თედორე, 30. ყიფიანისა ბარბალე, ყიფშიძე იოსებ, ყიფშიძე დავით, შანიძე აკაკი, ჩხენკელი აკაკი, 35. ცინცაძე კალისტრატე, ჯავახიშვილი ალექსანდრე, ჯაჯანაშვილი არჩილ; **ტფილისს გარეთ:** 40. ბერიძე ვუკოლ, დახელია სერგო, მიქელაძე ევგენი, ქინქლაძე დანიელ, წერეთელი ვასილ, ჯაფარიძე ტრიფონ, 46. ჯორჯიკია ნიკოლოზ.

კრებას კიდევ ჰქონდა მოსასმენი ს. გორგაძის მოხსენება: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში“ და ასარჩევი საბჭო და სარევიზიო კომისია, მაგრამ, რადგან დამსწრეთ ყველას სეიმისა და ეროვნული საბჭოს კრებაზე მიეჩქარებოდათ, ეს ორი საქმე შემდეგი კრებისათვის გადაიდო. მოგვყავს ტექსტი წესდებისა:

წესდება

„პეტრიწის სახელობის საფილოსოფო საზოგადოებისა“ ტფილისში.

(დამტკიცებული დამფუძნებელი კრების მიერ 1918, V, 2 26).

§1. საზოგადოების მიზანია ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება ქართველ ერში და კერძოდ—შესწავლა, გამოკვლევა და გამოქვეყნება ძველი ქართული ფილოსოფიური ლიტერატურისა.

§ 2. ამ მიზანს საზოგადოება ემსახურება შემდეგი საშუალებებით: მოხსენებათა კითხვით, საჯარო ლექციებისა და კურსების მოწყობით, განსაკუთრებული საფილოსოფიო ბიბლიოთეკის დაარსებით, სახალხო და სამეცნიერო პერიოდული და არაპერიოდული გამოცემებით, საუკეთესო საფილოსოფიო ნაწარმოებთათვის ჯილდოს დანიშვნით და სხვ.

§ 3. საზოგადოების **წევრად** მიიღება (საბჭოს შუამდგომლობით საზოგადო კრების წინაშე) ყოველი სრულ წლოვანი ქართველი და, განსაკუთრებული შემთხვევაში, არაქართველიც.

§ 4. საზოგადოების **წევრი** სამგვარია: ნამდვილი, საპატიო და დამხმარე. ნამდვილ წევრად ითვლება მხოლოდ ის ვინც საზოგადოების მიზანს პირდაპირ საკუთარი შრომით ემსახურება; საპატიოდ—ვისაც რამე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების მიზანთა განხორციელების საქმეში (განსაკუთრებული შრომით ან ნივთიერი დახმარებით არა ნაკლებ 5000 მანეთისა); და დამხმარედ—ყველა ვინც რითმე ხელს უწყობს საზოგადოების მიზანთა განხორციელებას და წლიურად იხდის არა ნაკლებ 5-ის მანეთისა.

§ 5. საზოგადოების **ნივთიერ საშუალებათ** შეადგენს: საწევრო გადასახადი, შემოწირულობანი, საჯარო ლექციებისა და გამოცემათა შემოსავალი, აგრეთვე მოგებიანი ქაღალდები და უძრავი ქონება.

შენიშვნა. საზოგადოების ფული ნაწილდება: **ხელუხლებელ** (ყოველი შემოსავლის 5%), **სპეციალურ** და **ხარჯთ** თანხებად.

დამონებულია მრისხანე ბუნების, რომ საკუთარი თავის რწმენა ნაკლები აქვს, მისი გონება შებორკილია, სამაგიეროდ ფრთა გაშლილია მისი ფანტაზია, ოცნება. მისმა შემეცნებამ საზღვარი არ იცის. ამის კვალი ამჩნევია ყოველს მის შემოქმედებას. მისი ღმერთი საშინელი არსებაა, ტანს გველების სარტყელი არტყია. გულს ადამიანის ძვლების მძივი უმშვენებს, ხელში ადამიანის თავის ქალა უკავია.

ბერძნის სული კი ასე არაა დამონებული და სასოწარკვეთილი. ბუნება მას ეალერსება, მეგობრობს, ნდობას და სიყვარულს იწვევს. ბუნება ამხნევებს და აქეზებს ადამიანს. ბერძენი არ ხედავს გარემო საშინელებას და მუქარას. მისი ღმერთი ადამიანის მჭამელი არაა, იგივე ადამიანია, მხოლოდ უფრო ლამაზი, უფრო ძლიერი, უფრო გონიერი. ბერძნის ყოველივე შემოქმედება ადამიანურია, აქ ადგილი არა აქვს უსაზღვრო ფანტაზიას, შიშსა და ცრუმორწმუნოებას არ შეუბოჭავს ადამიანის გონება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის ჰარმონიული სულიერი განწყობილება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ელინთა მოდგმისა...

II

ამ გვარად როგორც ვხედავთ, ადამიანის, საზოგადოების არსებობა და განვითარება ათასნაირის ქსელით და ხლართით გადაბმულია ბუნების სხვა და სხვა თვისებაზე. მაგრამ როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ეს არაა ერთადერთი გარემოება, რომელიც სავსებით საზღვრავდეს ცხოვრებას. ადამიანი ვითარდება საზოგადოებაში, მარტო საზოგადოებაშია შესაძლებელი განვითარება, მარტო საზოგადოება შეიცავს იმ ჩანასახს, რომელიც თანდათან ვითარდება და იშლება მრავალთა შეთანხმებულის მუშაობით.

კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება იყო, როცა ადამიანებმა დაიწყეს შეკავშირება, კოლექტიური ერთეულების შედგენა. რამდენად ჩვენი გონება მიწვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ადამიანის ძველის-ძველი წინაპარი ადამიანი—პირუტყვი გაჩნდა პირველად აზიის და აფრიკის ცხელ ადგილებში. აქედან მოხდა მისი გავრცელება, გადასახლება სხვა და სხვა მხარეში, რომელსაც თან სდევდა დანაწილება ადამიანთა მოდგმისა რასებად, ჯგუფებად, თემებად, ტომებად.

პირველყოფილი ადამიანი მეტად უძლური, უგნური, განუვითარებელი არსება პირდაპირი მონაა ბუნებისა და სავსებით ისე ცხოვრობს და მოქმედობს, როგორც ამას უბრძანებს ბუნება. თუ მიწამ რაიმე მცენარის ნაყოფი, ან ნადირი მიაწოდა, თუ მზემ სითბო არ მოაკლო, ადამიანი ცოცხლობს, თუ არა და, უდროოდ ესალმება წუთისოფელს. არ ძალუძს შეებრძოლოს მტაცებელ მხეცებს, სიმშილს, სნეულებას. არ იცის ბუნების მოვლენათა გათვალისწინება, არ იცის არავითარი თავდარიგი, არა აქვს არავითარი იარაღი. ესაა მიზეზი რომ ეს სუსტნი არსებანი, ინსტიქტურად უერთდებიან ერთი-მეორეს, რომ ერთად გამონახონ საზრდო, თავი ერთად დაიცვან. პირველყოფილი ადამიანის მისწრაფება დიდი არაა: უნდა მხოლოდ თავი გამოიკვებოს და სხვამ, მხეცმა ან მისმა მსგავსმავე ადამიანმა არ შეჭამოს. იგი დაეხეტება ტყე და ველად, სჭამს ბალახს, ნადირს, თევზს, თუ გაუჭირდა, საკუთარს შვილსაც და მშობელსაც და პირუტყვივით იკმაყოფილებს სქესობრივ მოთხოვნილებას სადმე ოდნავად მიფარულ ადგილას. მაშინდელი საზოგადოებრივი ერთეული უფრო ჯოგი იყო, ვიდრე საზოგადოება. მოკლებულია ორგანიზაციას, სიმტკიცეს, ადათს, ზნეობას. ყველაფერი არეულ-დარეულია, არ არის არავითარი ნათესაობა და ადამიანთა ხროვა ემორჩილება დროებით ძლიერს წინამძღოლს, რომელიც უნარს გამოიჩენს სანადირო ადგილების გამონახვაში, კარგი მონადირეა და მკლავი ემარჯვება მტრის დასამორჩილებლად.

მაგრამ ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიმშილთან და მტრებთან, ბრძოლა ერთი საზოგადოებისა მეორესთან იწვევს ნელ-ნელა საზოგადოებრივ განვითარებას. ის საზოგადოება სძლებს, ის ჰპოულობს უფრო საზრდოს, უფრო მოიგერიებს მხეცებს, თავდამსხმელებს, უფრო აჯობებს მოქიშპეებს, რომელიც მეტს [illegible] გამოიჩენს, უფრო შეკავშირებული იქნება, სადაც ერთი-მეორეს ადვილად მიჰყვება, სადაც მეტი ჭკუაა, მეტი გამოცდილებაა დაცული. ჩნდება სქესების შეუღლება, პირველ ხანად ჯგუფობრივი, ჩნდება ოჯახი, ნათესაობა, ოჯახების შეერთება, თემი. ადამიანი უფრთხილდება სანადირო ადგილებს, იცავს და უვლის. ზოგს ცხოველს აცოცხლებს და შინ ამწყვდევს, ინახავს, რომ მაშინ შესჭამოს, როცა ნადირის დაჭერა ვერ მოუხერხდება. აგროვებს და ახმობს სამერმისოდ მცენარეთა ნაყოფს. ახერხებს, რომ თვითონვე დასთესოს და მოიყვანოს ზოგიერთი მცენარე.

(შემდეგი იქნება)

სამ. ფირცხალავა.

§ 6. საზოგადოების მართველი ორგანოებია: საზოგადო კრება, საბჭო და სარევიზიო კომისია. საზოგადო კრება სამგვარია: წლიური, ჩვეულებრივი და საგანგებო, რომელნიც მოწვევიან საზოგადო წესით.

შენიშვნა 1. წლიურ კრებად ითვლება ყოველი წლის მაისის კრება, რომელიც დანარჩენ კრებათაგან განირჩევა მხოლოდ იმით რომ მასზე განიხილვის საზოგადოების წლიური ანგარიშები და წარმოებს თანამდებობის პირთა არჩევანი. წლიური კრება კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდა არა ნაკლებ ყველა წევრთა 10%-ისა; დანარჩენ კრებათათვის კი საკმაოა ხუთი ნამდვილი წევრის დასწრება. საზოგადო კრება შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე დახურული პრეზიდიუმის შეხედულების თანახმად.

შენიშვნა 2. საბჭოს შეადგენენ: საზოგადოების თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი, მოლარე, წიგნთსაცავის გამგე და ორი წევრი. სარევიზიო კომისია ორი კაცისაგან შესდგება. საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრები მათი კანდიდატებითურთ აირჩევიან წლიურ კრებაზე, 3 წლის ვადით (საბჭოსათვის 2 კანდიდატი და სარევიზიო კომისიისათვის ერთი).

შენიშვნა 3. როგორც საბჭოში ისე კრებებზე საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმეტესობით.

§ 7. საზოგადო კრებას ექვემდებარება შემდეგი საქმეები: საზოგადოების წევრთა და თანამდებობის პირთა არჩევანი, შეცვლა და შევსება წესდებისა, განხილვა და დამტკიცება საზოგადოების ანგარიშებისა; ამავე კრებებზე იმართება საფილოსოფიო მოხსენებანი და სხვ.

§ 8. საზოგადოება იურიდიული პირს წარმოადგენს. მას აქვს საკუთარი ბეჭედი.

ასეთია ამ ნორჩი საზოგადოების წესდება. ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ნაყოფიერი მუშაობა.

დამსწრე.

გორის მაზრის სახალხო მასწავლებლების საყურადღებოდ.

გორის ფილიალურ განყოფილების სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა, თანახმად საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, სთხოვს თავის რაიონის სკოლების გამგეებს, ან მათი თანამდებობის აღმსრულებლებს, რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოუგზავნონ გამგეობას წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. სად იმყოფება სკოლა და რამდენ კლასიდან და განყოფილებიდან შესდგება?
2. რამდენი მოწაფე ირიცხებოდა სწავლის დაწყების დროს და რამდენი იყო წლის ბოლოს?
3. თუ შემცირდა რიცხვი მოწაფეებისა, რა მიზეზებით?
4. როდის დაიწყო სწავლა და როდის გათავდა?
5. თუ სწავლის დაწყების ან გათავების დრო ასცდა ნორმალურ კალაპოტს, რა მიზეზით?
6. რამდენად ნორმალურად მიმდინარეობდა სწავლა წლის განმავლობაში?
7. თუ არ იყო ნორმალური სწავლა რა იყო მიზეზი?
8. რას ფიქრობთ, რა საშუალებით შეიძლებით ამ მიზეზების მოსპობა?
9. თქვენი სკოლის აუცილებელი საჭიროებანი.
10, მასწავლებლების შემადგენლობა: რიცხვი და ვინაობა.
11. სად დაუმთავრებია სწავლა და რამდენი ხანია მასწავლებლობს საზოგადოდ და კერძოთ ამ სასწავლებელში?
12. იმყოფებიან თუ არა ყველანი კავშირის წევრად და თუ არა რა მიზეზით?

გამგეობის თავმჯდომარე
ვ. ჯაფარიძე
მდივანი ანა პარკაძისა.

კახეთის კავშირის რწმუნებულთა კრება თელავში

20 მაისს მოხდა მცირე ნდობის დაწესებულებათა კახეთის კავშირის რწმუნებულთა წლიური კრება. დაესწრნენ თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრებიდან, უფრო ამ უკანასკნელისა სჭარბობდნენ,

თავმჯდომარედ აირჩიეს ექ. გ. ავალიშვილი, მდივნებად ალ. ხატისკაცი და ეგ. დალაქიშვილი.

პირველად წაკითხულ იქმნა 1917 წლის ანგარიში. საანგარიშო წელს კავშირს გადაუბრუნებია 12,765,250 მანეთი, წმინდა მოგება დარჩენილა 30975 მანეთი.

გამგეობის წევრმა გ. ხატისკაცმა წაიკითხა მოხსენება გამგეობის ოქმების და იმ ხელის შემშლელ პირობების შესახებ, რომელიც გადაეღობა კავშირის მოღვაწეობას საანგარიშო წელს.

კავშირის გამგეობას უმთავრესი ყურადღება მიუქცევია სურსათისათვის, საგანგებოდ კაცი გაუგზავნია ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ მთავრობას ჩამოურთმევია ნაყიდი პური, ხოლო შემდეგ, სასურსათო კომიტეტების დაარსებით ეს წარმოების დარგი სრულებით ჩამოსცლია.

საბჭოს მოხსენების წაკითხვის შემდეგ, რომელიც შეიცავდა სხვა და სხვა შენიშვნებს, გამგეობის თავმჯდომარე დ. ქადაგიძემ პასუხი გასცა, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე ქ. ტყავაძე აძლევდა კრებას განმარტებას სხვა და სხვა საკითხებზე.

თუმცა სურსათის საქმე ჩამოურთმევია მთავრობას, მაგრამ გამგეობას ანგარიში გაუწევია თავის დამშეულ რაიონებისათვის და იანვარში გაუგზავნია კავკავში თავისი ინსტრუქტორი პურის სასყიდლად. პური უკვე უყიდია და ამ დღეებში გამოუგზავნია სად. მცხეთაში, მაგრამ ინსტრუქტორი იანვრიდან იქ დარჩენილა, რომლისათვისაც დაუკისრებიათ ვერაგულად მოკლულ დალაქიშვილის მოვალეობა. ამნაირად კავშირი უინსტრუქტოროდ ყოფილა და ეს კი დიდ დანაკლისად იქმნა აღიარებული, როგორც საბჭოს, ისე კრების მიერ, რადგანაც კავშ. წევრთ ამხანაგობებს ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა, რჩევა და სხ.

ამ საკითხზე კამათის შემდეგ, კრებამ დაავალა გამგეობას, რაც შეიძლება მალე გამოარკვიოს ინსტრუქტორის საქმე. ამას გარდა კრებამ საჭიროდ დაინახა და გადასწყვიტა მეორე ინსტრუქტორის მოწვევა.

კრებამ დაამტკიცა 1917 წლის ანგარიში, ხოლოდ გამგ.-საბჭოს მიერ მოგების განაწილება თითქმის უკამათოდ მიიღო.

მოგება ასე განაწილდა: ძირითად თანხად გადაიდვა 15511 მან., სათადარიგოდ—3064 მან., ეროვნულ საბჭოსთვის—2000 მან., ქართულ უნივერსიტეტს—1500 მან., ხოლო დანარჩენი გაუნაწილა თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრების საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ას ათი თუმანი კოოპერატიულ საბჭოს და კოოპ. ლექციების მოსაწყობადაც გადაიდო.

ორი საკითხი, სახელდობრ, გასესხებულ თანხებზე და შესანახად შეტანილ ფულის სარგებლის გადიდება და კავშირის წესდების შეცვლა, ახალი კანონის მიხედვით, კრებამ მიანდო საბჭოს და გამგეობას.

ბინის საკითხი, თუ სად უნდა იყოს გამგეობის ბინა, ახალი არ არის როგორც ეტყობა უმრავლესობის აზრით, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრის წარმომადგენლებისა, აუცილებლობას შეადგენს, გამგეობის ბინა ტფილისში იყოს გადატანილი, მხოლოდ დღევანდელ კრებაზე რწმუნებულთ, მიიღეს რა მხედველობაში აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა, ეს კითხვა გადადვეს ვიდრე გამოირკვეოდეს საზოგადოდ ამიერკავკასიის მდგომარეობა და კერძოდ საქართველოს ბედ-იღბალი.

დღიურ წესრიგში იყო საკითხი მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ, მაგრამ გ. წინამძღვრიშვილის წინადადების თანახმად, რადგანაც ამ კითხვას დიდი კავშირი აქვს გამგეობის ბინასთან, ესეც გადაიდო.

ბოლოს მოხდა არჩევნები ორი გამგეობის და ერთი საბჭოს წევრისა.

არჩეულ იქმნენ: გამგეობის წევრებად უკენჭოდ ისევ გ. ხატისკაცი, ხმის უმრავლესობით ლ. რცხილაძე, მხოლოდ საბჭოს წევრად უკენჭოდ ისევ ვ. პაატაშვილი.

დაესწრებული.

მოწერილი ამბები

ხოფ. კაჭრეთი (სიღნაღის მაზრა). მთელ კაჭრეთ-კაკაბეთის თემში სოფელი კაჭრეთი ყველაზე შეგნებული და მომწიფებული შეხვდა ახალ ცხოვრებას, თავისი შეგნებით თავისუფლებისა და მამულის სიყვარულისა და დაცვით სრული წესიერებისა და მოქალაქობრიობისა იგი მაგალითი იყო გარემო სოფლებისთვის. მაგრამ დღეს ირგვლივ მოდებული ანარქიის წყალობით წესიერება და მყუდროება კაჭრეთშიაც დაირღვა. ნაძირალებმა ისარგებლეს დროთა უკუღმართ ტრიალით, აიშალნენ, და დაიწყეს ნავარდი. ამ დიდიხნის დამშეულმა ყბა-ღია მგლებმა თავიანთ საძაგელ ზრახვათა და საქმეთა ადვილი განხორციელებისათვის იხმარეს ხერხი: ზოგი მათგანი სოც.-დემოკრატთა პარტიაში ჩაეწერა და ზოგი მილიციონერად შევიდა. მათ დაიჭირეს მტკიცე კავშირი იორო-მუღანლოსა და გურჯაანის ქურდებთან და აი ამ შეერთებული ძალით, ეს რაინდები ბნელეთისანი, მიმის ზარს სცემენ უბადრუკ გლეხთა მასსას. ესენი თავდაპირველად ეკვეთნენ კაჭრეთს, როგორც იმ ადგილს სადაც წესიერების დამცველი შეერთებული ძალა არსებობდა და მოინდომეს ამ ძალის გაქრობა. მთელი მათი მავნებლობის ჩამოთვლა ძნელი და მოუხერხებელია და ვიტყვი მხოლოდ ერთ უკანასკნელ შემთხვევას: აქ ერთ საცოდავ გლეხს ვანო ლაზაშვილს ჰყავანდა 4 სული მუშა საქონელი და 1 ვირი, ესენი ერთ ღამეს დაკეტილი გომიდან დაჰპარეს. საწყალმა გლეხმა ვერ აიტანა თავისი მარჩენალი საქონლის დაკარგვა და თავის დახრჩობას აპირობდა, რომ ხალხი არ შესწრობოდა და გული არ გადაეგრებინა მისთვის. დასვეს თვალცრემლიანი საწყალი გლეხი. სიღარიბისაგან დაჩაგრული უფრო მეტ სიღარიბეში ჩავარდა, რა ქნას, რით შეინახოს ცოლშვილი. აი ამან და ამისთანა ნავნეობის სიმწვავემ გვაიძულა ჩვენ სოფლის თავდაცვაზე გვეზრუნა: ავირჩიეთ 4 კაცი და დავუნიშნეთ მათ ჯამაგირები. ისინი ერთგულად გვდარაჯობდნენ შინ და გარეთ, სოფლად და მინდვრად. მაგრამ ნაძირალებმა ეს ჩვენი თავდამცველი ძალა მალე მოგვისპეს და ორი მათგანი [illegible] ვაჟკაცნი ამ დღეებში მინდორში ნაძირალებმა დაგვიხოცეს და ამის შემდეგ ისინი სრულიად თავისუფლად ნავარდობენ, მათ სოფელი სულ ძირიანად შეარყიეს. ამოდენა მათი ნავნეობა ცხადად ღაღადებს და ზომების მიმღები კი არავინ არის. ხშირად მქონია ბაასი ჩვენ სარაიონო კომისარ ნ. ციციშვილთან, თუ რათ იქცევიან ესე დამბლად, მაგრამ აი პასუხი რა მომცა: „რა ვქნა, კაცო, ნებით არავინ მემორჩილება და ძალით კიდევ ვერ ვუმკლავდები, ისინი შეიარაღებულები არიან და მე კი იმოდენა ძალა არა მაქვსო, და ან რისათვის შევწირო უბრალოდ სიცოცხლეო“.

მე არ მესმის ეს რა მოდა?!... ჯერ ერთი, თუ გვინიშნავენ კომისარს, რატომ ძალასაც არ აძლევენ და თუ ეს უკანასკნელი არა აქვთ, მაშ რას ვაქნევთ ცარიელ კომისარს?! ან მათზე ტყუილ-უბრალოდ რადა ხარჯავენ ფულს, იქნებ ხაზინას მოსჭარბებია?!.. მეორეც, ნაძირალებს ვინ მისცა თოფები? ესამეც, მოხელე რად გვინდა, თუ თავის მოვალეობას მსხვერპლად არ შეეწირება.

ჩვენში ისე გახდა საქმე დღეს, რომ ლამის სოფელი სულ მოგვაშაწყვიტონ, ხმა ვეღარ ამოგვიღია, სოფელში აღარ გაგვეშვლევა ნება, ნაძირალები უფროსობენ და ადამიანები კი სოროებში ძვრებიან. ასეთ ყოფაშია სოფელი და გასაკვირველია რომ მშვიდობიანი მცხოვრებნი ისევ ძველი დესპოტისაკენ იყურებიან, თავისუფლებას წყევლა-კრულვით იხსენიებენ და ქვას ქვაზე არაუდებენ: „მომწყვიტეთ თავიდან თქვენი თავისუფლება, თქვენი არაფერი გვინდა, ცარიელ სულებში მოგვასვენეთო“.

თქვენ სარაიონო კომისრებო, მეტი სიფრთხილე, მეტი ენერგია! გზათა უკან ნუ არიგებთ სოც.-დემოკრატიულ „იარლიკებს“, კანტროლი ერთმანეთს; იშვიათი შემთხვევა არის სოფლებში, რომ ბოროტ-მოქმედი ფარად თქვენს იარლიკს არა ხმარობდეს. ამას ხედავს ხალხი და ზიზღი ღრღნის მას; ამან დასცა თქვენი პრესტიჟი; ხომ იცით, რამ დასცა ძველი რუსეთი და რომ თქვენც ეს არ დაგემართოთ, გაფრთხილებთ, როგორც ხალხის შვილებს; ზღვაში გამოტანილი გემის ნაპირზე გადაბრუნების მიზეზი თქვენ არ გახდეთ.

კაჭრეთელი **დ. ხოლოდაშვილი.**

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ წერილს ადგილი დაუთმოთ: ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ბ. ა. ხოშტარიას, რომელმაც კეთილ ინება და ჭრა-კერვის სკოლის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ 500 მანეთი შესწირა, აგრეთვე ბ. იოსელიანს, რომელმაც 100 მ. შესწირა ხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად.

ნ. ნ. გაბაშვილისა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

პასუხი ღია წერილზე ს. ნანოგაშვილს

თქვენს წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო „სახალხო საქმის“ 241 ნომერში, ჩვენ გვიწვევთ სამედიატორო სამართალში. თქვენ არ ასახელებთ იმ სადავო საკითხებს, რომელიც უნდა გაარჩიონ მედიატორებმა. ლაპარაკობთ სამართლიანობასა და რაღაც საზოგადო საქმეებზე. ჩვენ თქვენთან საზოგადო ხასიათის დამოკიდებულება არას დროს არა გვქონია. თუ თქვენ გულისხმობთ ჩვენ ვაჭრულ საქმიანობას, ამას საზოგადო კი არა, კერძო ხასიათი აქვს. რადგანაც თქვენ ჩვენგან უკვე გაქვთ პასუხი თქვენ შეკითხვაზე ნოტარიუსის წერილით, ამიტომ ჩვენგან მეტ პასუხს ვეღარ მიიღებთ.

ვ. ენუქიძე, ნ. ხახუტაშვილი და მ. მამულაშვილი. 557

ვისაც
სუსუნატი (გონორეა) სტანჯავს, დაეჩქაროს მიმართოს მარტო ე. მ. აკოფოვს. საუკეთესო საშუალებაა. რაც მალე იქნება, მით უკეთესია. მიმართეთ მასთან 3-დან 7-მდე. ტფილისი კოსსნოგორსკის ქუჩა № 3. ე. მ. აკოფოვი. 511

ექიმი
დონხიძე
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ი. ლ. მაღალაშვილი
იღებს სამეანო და საქალო სნეულებით ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხაშვილ. ანატ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხახვლის სნეულებიანს სპეციალური. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ვ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]. ტელეფ. 5—77. 1080

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალის საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ ჯავ. ჭავჭავაძის ქ. № 11. 426

ქ. ქუთაისში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეზმნეთის ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მეჯვრისხევის ქ. 12, 9 ფუნი. 1002

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრიბოედოვის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს. დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდე.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (შინაგან. ავადმყ.)
ნ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახარიანცი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. ქალებისა და საშვილო ავადმყ.
მ. ც. [illegible]: 10—12 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. [illegible]: 5—7 ს. შინაგანი ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1018

„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველი ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“.	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა „სახალხო საქმე“

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანცტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.

საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.

კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.